

პროფესიული საგანმანათლებლო
პროგრამების
განმახორციელებელ
დაწესებულებებში ინკლუზიური
განათლების უზრუნველყოფის
გზამკვლევი

პროფესიული მოსინჯვის პროცესი

პროფესიული მოსინჯვის პროცესი

გზამკვლევი მომზადებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის“ პროგრამის „ინკლუზიური განათლების განვითარების ხელშეწყობა პროფესიული განათლების საფეხურზე“ ქვეპროგრამის ფარგლებში.

გზამკვლევზე მუშაობდა თეონა გავაშელიშვილი



საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტრო

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის პროფესიების პრაქტიკული მოსინჯვის უზრუნველყოფა

- პრაქტიკული მოსინჯვის მნიშვნელობა
- პრაქტიკული მოსინჯვის ეტაპები:
 - აპლიკანტის (აპლიკანტის შესაძლებლობებისა და საჭიროებების) გაცნობა;
 - პროფესიული/პრაქტიკული მოსინჯვის დაგეგმვა;
 - პრაქტიკული მოსინჯვის პროცესი;
 - განხორციელებულ პროცესზე რეფლექსია;
 - პროფესიული არჩევანის გაკეთება და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება.

პრაქტიკული მოსინჯვის მნიშვნელობა

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის პროფესიების პრაქტიკული მოსინჯვის შესაძლებლობის მიცემას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პროფესიის შესახებ სწორი წარმოდგენის შესაქმნელად და კონკრეტულ პროფესიასთან მიმართებით, საკუთარი შესაძლებლობების და საჭიროებების გასაანალიზებლად. პრაქტიკული მოსინჯვის დროს ხდება პირის მიერ პროფესიის შესახებ თეორიული ინფორმაციის/ცოდნის გაცოცხლება, დაზუსტება და კონკრეტულ პროფესიასთან მიმართებით გარკვეული პრაქტიკული გამოცდილების მიღება.

პრაქტიკული მოსინჯვის გამოყენება შესაძლებელია:

- ✓ პირის პროფესიული ორიენტაციის დროს;

- ✓ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით ალტერნატიული ტესტირების დროს;
- ✓ დუალური/მუშაობაზე დაფუძნებული პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული კონკურსის დროს;

ის, თუ როგორ წარიმართება პრაქტიკული მოსინჯვის პროცესი, რამდენად ზუსტად იქნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტისთვის პროფესიის შესაბამისი აქტივობა შერჩეული, რა ტიპის რეფლექსია განხორციელდება და ა.შ. მნიშვნელოვნად განსაზღვრავს თუ რამდენად სწორი შთაბეჭდილება შეექმნება პირს პროფესიაზე და როგორი სასწავლო მოტივაცია ექნება შემდგომში.

პრაქტიკული მოსინჯვის პროცესის დაგეგმვისა და ჩატარების პროცესში სხვადასხვა სახით ჩართულნი არიან:

- ინკლუზიური განათლების გუნდი (ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, სასწავლო პროცესის ასისტენტი, საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი, ჟესტური ენის თარჯიმანი და სხვა)
- პროფესიულის განათლების მასწავლებელი
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელი

პრაქტიკული მოსინჯვის განხორციელებას წინ უძღვის გარკვეული აქტივობები და პროცედურები, რომლებიც განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რა პროცესის შემადგენელ ეტაპს წარმოადგენს პრაქტიკული მოსინჯვა - პროფესიული ორიენტაციის, ალტერნატიული ტესტირებისა თუ დუალური პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული კონკურსის;

- როდესაც პრაქტიკული მოსინჯვა წარმოადგენს პროფესიული ორიენტაციის ნაწილს, მას წინ უძღვის პირის პროფესიული ინტერესების შესწავლა აღნიშნული მიზნებისთვის შემუშავებული სხვადასხვა ინსტრუმენტითა და მეთოდით, რომლის საფუძველზეც ხდება პირისთვის სასურველი პროფესიების შერჩევა შემდგომი პრაქტიკული მოსინჯვისთვის.
- ალტერნატიული ტესტირებისა და დუალური პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული კონკურსის შემთხვევაში, პრაქტიკული მოსინჯვა წარმოადგენს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად განსაზღვრული სტანდარტული პროცედურის ერთგვარ ალტერნატივას, რომელსაც წინ უსწრებს აპლიკანტის რეგისტრაცია კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროგრამებზე. დუალური პროგრამის დროს, პროფესიის პრაქტიკული მოსინჯვის კომპონენტი განიხილება ალტერნატიულ ტესტირება-ინტერვიუს კონტექსტში, სადაც პრაქტიკული მოსინჯვის კომპონენტს შესაძლოა დაემატოს გასაუბრების ნაწილიც.

პრაქტიკული მოსინჯვა შეიძლება განხორციელდეს როგორც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების გარემოში, ასევე, რეალური დასაქმების ადგილზე, რაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი დუალური/მუშაობაზე დაფუძნებული პროგრამის შემთხვევაშია.

პრაქტიკული მოსინჯვის ეტაპები

პრაქტიკული მოსინჯვის პროცესი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე თითოეულ აპლიკანტთან განსხვავებულად მიმდინარეობს, თუმცა, ყველა შემთხვევაში მოიცავს რამდენიმე ძირითად ეტაპს:

- ✓ აპლიკანტის (აპლიკანტის შესაძლებლობებისა და საჭიროებების) გაცნობა;
- ✓ პროფესიული/პრაქტიკული მოსინჯვის დაგეგმვა;
- ✓ პრაქტიკული მოსინჯვის პროცესი;
- ✓ განხორციელებულ პროცესზე რეფლექსია;
- ✓ პროფესიული არჩევანის გაკეთება და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება.

I ეტაპი: აპლიკანტის გაცნობა

პრაქტიკული მოსინჯვის პროცესის დაგეგმვამდე, მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულების ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული სპეციალისტების და კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მასწავლებლის მიერ მოხდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სათანადოდ გაცნობა. აღნიშნულ პროცესში, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის შეფასების დასკვნა, რომელიც მომზადებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ. აღნიშნულ შეფასების დასკვნაში თავმოყრილი ის საკვანძო ინფორმაცია აპლიკანტის უნარებისა და თავისებურებების შესახებ, რომლის გათვალისწინებითაც შესაძლებელია პრაქტიკული მოსინჯვისათვის შესაბამისი აქტივობის შერჩევისა და გარემოს მოწყობის მიზნით.

მაგალითად, თუ აპლიკანტის დასკვნაში მოცემულია, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირს სირთულეები აქვს ახალ გარემოში ადაპტირებასთან დაკავშირებით, პრაქტიკული მოსინჯვის დაგეგმვამდე მნიშვნელოვანია დაიგეგმოს აპლიკანტის ვიზიტი მოსინჯვის გარემოში და წინასწარ მოხდეს მისთვის სამუშაო სივრცისა და მასალების გაცნობა. რიგ შემთხვევებში, შესაძლოა ეს საკმარისი არ იყოს და საჭირო გახდეს განმეორებითი ვიზიტის დაგეგმვა ან/და პროფესიის მოსინჯვის პროცესში დროის გახანგრძლივება აპლიკანტის გარემოსთან ადაპტაციისთვის. მხოლოდ ამის შემდეგ იქნება მიზანშეწონილი დაგეგმილი პრაქტიკული მოსინჯვის განხორციელება. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა აპლიკანტმა ვერ მოახერხოს პროფესიული მოსინჯვის პროცესში საკუთარი შესაძლებლობების სრულად გამოვლენა.

საჭიროების შემთხვევაში, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი შესაძლოა დაუკავშირდეს დასკვნის ავტორ მულტიდისციპლინური გუნდის წევრს გარკვეული ინფორმაციის დაზუსტების ან/და დამატებითი ინფორმაციის მოპოვების მიზნით. ამასთანავე, საჭირო ინფორმაციის მოპოვება და დაზუსტება შესაძლოა მოხდეს თავად აპლიკანტთან ან/და მის კანონიერ წარმომადგენელთან გასაუბრების შედეგადაც.

იმ შემთხვევაში, თუ პრაქტიკული მოსინჯვა იგეგმება პროფესიული ორიენტაციის პროცესში, ინკლუზიური განათლების სპეციალისტს აქვს შესაძლებლობა აპლიკანტის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოპოვების მიზნით თავადაც განახორციელოს გარკვეული შეფასება (მაგ.: ჩაღრმავებული/კონკრეტული უნარის შეფასებაზე მიმართული). ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია პროფესიების ანალიზის ინსტრუმენტის გამოყენებაც, რომელიც შერჩეული პროფესიული პროგრამის საკვანძო მოთხოვნების კარგად გააზრების და აპლიკანტის შესაძლებლობებთან და საჭიროებებთან მიმართებით გაანალიზების შესაძლებლობას იძლევა („*პროფესიების ანალიზის ინსტრუმენტის“* სექცია №4 - *პროფესიული აქტივობებისთვის საჭირო მოთხოვნები (უნარები და შესაძლებლობები)*).

II ეტაპი: პროფესიული მოსინჯვის დაგეგმვა

აპლიკანტის შესაძლებლობებთან და საჭიროებებთან გაცნობის შემდეგ, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად არჩევს აპლიკანტისთვის შესაბამის აქტივობას, რომელიც შერჩეული პროფესიის რეპრეზენტატულ (პროფესიისათვის დამახასიათებელ/ხშირად გამოყენებად) აქტივობას წარმოადგენს. გარდა ამისა, აქტივობის შერჩევისას გასათვალისწინებელია, რომ აქტივობის განხორციელების შემდგომ აპლიკანტმა უნდა შეძლოს მის მიერ შექმნილი „პროდუქტის“/დასრულებული ნამუშევრის ნახვა და თავადაც შეფასებაც.

აპლიკანტისთვის აქტივობის შერჩევა ხდება წინასწარ განსაზღვრული სხვადასხვა სირთულის აქტივობებიდან, რომლებიც შერჩეულია თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისათვის და ერთმანეთისაგან განსხვავდება შესრულების სირთულის ხარისხით, მაგალითად:

- 1) შედარებით მარტივი;
- 2) საშუალო სირთულის;
- 3) შედარებით რთული.

შედარებით მარტივ აქტივობად შესაძლოა მივიჩნიოთ საქმიანობა, რომელიც მცირე რაოდენობის და საკმაოდ მარტივად შესასრულებელ ბიჯებს მოიცავს, ხოლო შედარებით რთულად - საქმიანობა, რომელიც მოქმედებათა შედარებით რთულ და მეტ კომპონენტთან ჯაჭვს მოიცავს.

მაგალითი: სხვადასხვა სირთულის აქტივობები მზარეულის პროფესიისთვის:

- 1) **შედარებით მარტივი** - პროდუქტის დამუშავება შესაბამისი მეთოდის გამოყენებით (გასუფთავება, გაფრცქვნა, დაჭრა და სხვა) ან წინასწარ მომზადებული ინგრედიენტების შეერთება დასრულებული პროდუქტის მისაღებად - მაგ.: სენდვიჩის მომზადება;
- 2) **საშუალო სირთულის**- მარტივი კერძის მომზადება, მაგალითად შვრიის ფაფა;
- 3) **შედარებით რთული** - შედარებით მეტ კომპონენტთან კერძის მომზადება, მაგ.: სოკოს წვნიანი

მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამასთან/პროფესიასთან მიმართებით, დაგეგმვის ეტაპზე შეირჩეს სხვადასხვა სირთულის რამდენიმე აქტივობა, რომელიც თავის მხრივ დანაწევრებული იქნება შემადგენელ მოქმედებებად (ბიჯებად) და რომელთა მაქსიმალური რაოდენობა არ აღემატება 10 ბიჯს.

მნიშვნელოვანია, რომ აქტივობათა ბიჯებად დანაწევრების პროცესში ერთმანეთს საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებდნენ პროფესიული განათლების მასწავლებელი და ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, რადგან სწორედ პროფესიულ მასწავლებელს შეუძლია დაანაწევროს შერჩეული საქმიანობა შემადგენელ საფეხურებად, ხოლო ინკლუზიური განათლების სპეციალისტს, განსაზღვროს ბიჯების სირთულე და მათ შესასრულებლად საჭირო უნარები და ის, თუ რამდენად შესატყვისია საქმიანობის მოთხოვნები აპლიკანტის უნარებთან. პროფესიული ტესტირების პროცესში შესასრულებელი პროფესიული ამოცანების და დავალებების შერჩევის თვალსაზრისით, შესაძლებელია პროფესიების ანალიზის ინსტრუმენტის გამოყენება. კერძოდ, გუნდმა პროფესიული ტესტირებისთვის რელევანტური დავალებები და აქტივობები შესაძლებელია განსაზღვროს

„პროფესიების ანალიზის ინსტრუმენტის“ დოკუმენტის №3 სექციაზე - ძირითადი პროფესიული აქტივობები და დავალებები, დაყრდნობით.

იმ შემთხვევაში, თუ ინკლუზიური განათლების სპეციალისტი და პროფესიული განათლების მასწავლებელი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირს პირადად არ იცნობენ, აპლიკანტისთვის შესაბამისი სირთულის ხარისხის აქტივობის შერჩევას ახორცილებენ მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნაში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე. საჭიროებს შემთხვევაში, ინკლუზიური განათლების სპეციალისტს შეუძლია მიმართოს მულტიდისციპლინური გუნდის წევრს დასკვნაში არსებული გარკვეული ინფორმაციის დასაზუსტებლად. გარდა ამისა, აქტივობის დაზუსტება შესაძლებელია აპლიკანტისთვის/აპლიკანტის კანონიერი წარმომადგენლისათვის პროფესიული მოსინჯვის პროცედურის შესახებ ინფორმაციის მიწოდების დროსაც. ეს შეიძლება განხორციელდეს როგორც პირადად - პროფესიულ კოლეჯში დაინტერესებული პირების ვიზიტისას, ისე დისტანციური ფორმატით. აღნიშნულ ეტაპზე ხდება:

- აპლიკანტის/ აპლიკანტის კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება იმის შესახებ თუ რა ტიპის აქტივობებია დაგეგმილი პროფესიის მოსინჯვის დროს
- ინფორმაციის დაზუსტება, შესაძლო საფრთხეებსა და აპლიკანტის შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

პროფესიული მოსინჯვის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მისაწოდებლად, შესაძლებელია აპლიკანტს/მის კანონიერ წარმომადგენელს პრეზენტაციის/სურათების სახით წინასწარ გაეგზავნოს დაგეგმილი აქტივობის ბიჯები, რათა მოსინჯვის პროცესამდე მოხდეს ერთის მხრივ აპლიკანტის მომზადება, ხოლო მეორე მხრივ, აქტივობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადამოწმება. აღნიშნული პროცესი ბევრად გამარტივებულია იმ შემთხვევაში, როდესაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტი ჩართულია პროფესიული ორიენტაციის პროცესში და სხვა აქტივობებთან ერთად იგეგმება პროფესიული მოსინჯვის განხორციელებაც.

პრაქტიკული მოსინჯვის დაგეგმვისას, შესაბამის ფორმაში (იხ. დანართი N1) ასევე ასახული უნდა იყოს აპლიკანტის შესახებ გასათვალისწინებელი ინფორმაცია, რომელიც მოცემული იყო მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნაში ან/და რომლის მოპოვებაც დამატებით მოხდა. ეს შეიძლება იყოს აპლიკანტის ქცევის თავისებურებები, ენისა და კომუნიკაციის უნარები, ინტერესები და სხვა.

ამასთანავე, დეტალურად აღიწეროს თუ რა საგნები/იარაღებია საჭიროა აქტივობის განსახორციელებლად, რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს სივრცე, რომ

გათვალისწინებულ იქნეს აპლიკანტის ინდივიდუალური თავისებურებები. ასევე, აუცილებლად უნდა იქნეს აღნიშნული ინფორმაცია პროცესში შესაძლო საფრთხეების (მაგ.: ბასრი საგნები, ქიმიური ხსნარები და ა.შ.) და იმ ადამიანური რესურსის შესახებ, რომლის ჩართვის აუცილებლობაც იქნება პრაქტიკული მოსინჯვის დროს (მაგალითად, ჟესტური ენის თარჯიმანი).

III ეტაპი: პროფესიული მოსინჯვის პროცესი

პროფესიული/პრაქტიკული მოსინჯვის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კეთილგანწყობილი, მხარდამჭერი გარემოს შექმნას, რაშიც მოიაზრება როგორც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტისთვის ფიზიკური გარემოს შესაბამისი ორგანიზება, ისე დადებითი ემოციური ატმოსფეროს შექმნა. მნიშვნელოვანია, რომ საწყის ეტაპზე მოხდეს :

- ✓ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირისა და მისი კანონიერი წარმომადგენლისთვის პროცესში ჩართული პირების გაცნობა;
- ✓ შეხვედრის ზოგადი მონახაზის გაცნობა

გასათვალისწინებელია, რომ უშუალოდ პრაქტიკული აქტივობის განხორციელებამდე, აპლიკანტს შესაძლებლობა უნდა მიეცეს ადაპტირდეს ახალ გარემოში, დაამყაროს კომუნიკაცია პროცესში ჩართულ პირებთან, გაუზიაროს საკუთარი თავის შესახებ ინფორმაცია და ა.შ.

ასევე გასათვალისწინებელია, რომ ზოგჯერ, მიუხედავად აპლიკანტის წინასწარ საკმარისად გაცნობისა და პროცესის ზედმიწევნით დაგეგმვისა, პრაქტიკული მოსინჯვის დროს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის მიერ გამოვლენილი უნარები/მახასიათებლები სხვადასხვა მიზეზის გამო, შესაძლოა განსხვავდებოდეს მოსალოდნელისგან. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, რომ ინკლუზიური განათლების სპეციალისტმა და პროფესიული განათლების მასწავლებელმა გამოავლინონ მოქნილობა და შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე მოახდინონ დაგეგმილ პროცედურაში ცვლილება.

მაგალითად, თუ პროფესიულ მოსინჯვამდე მიღებულ შეფასების დასკვნის საფუძველზე განისაზღვრა, რომ ყველაზე მართებული იქნებოდა პროფესიის რეპრეზენტატული ძალიან მარტივი აქტივობის შერჩევა პროფესიული მოსინჯვისათვის, ხოლო რეალურ პროცესში აპლიკანტმა ძალიან მარტივად და მცირე დროში გაართვა თავი დავალებას, აუცილებელია,

სხვა სირთულის აქტივობის შეთავაზებაც რათა ადეკვატური წარმოდგენა შეექმნას აპლიკანტს პროფესიაზე.

პროფესიული მოსინჯვის პროცესში ინკლუზიური განათლების სპეციალისტი ახდენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის შესრულებაზე დაკვირვებას (იხილეთ დანართი №2), სადაც ყურადღებას ამახვილებს ისეთ საკითხებზე, როგორცაა აპლიკანტის მიერ მითითებების გაგება-შესრულება, საჭიროებისამებრ დახმარების თხოვნა, უსაფრთხოების დაცვა, ხელსაწყოების შესაბამისად გამოყენება, ფიზიკური ან/და ფსიქიკური გამძლეობა და სხვა.

IV ეტაპი: განხორციელებულ პროცესზე რეფლექსია

პრაქტიკული მოსინჯვის მთავარ ამოცანას წარმოადგენს, აპლიკანტმა შეძლოს პროფესიის შესახებ რელევანტური ინფორმაციის შეგროვება, რომელიც დაეხმარება თვითგამორკვევაში - რამდენად მოსწონს კონკრეტული პროფესია, რა ტიპის აქტივობებს მოიცავს, რა უნარებს საჭიროებს, რამდენად შეესაბამება ის აპლიკანტის ინტერესებს და პროფესიის შესახებ არსებულ წარმოდგენებს და ა.შ.

ამრიგად, პრაქტიკული მოსინჯვის შემდგომ რეფლექსიას, შესაბამისი ყურადღება და დრო უნდა დაეთმოს. მნიშვნელოვანია, რეფლექსიის პროცესში აქტიური როლი თავად აპლიკანტს ჰქონდეს; მას უნდა მიეცეს საშუალება დასვას კითხვები, მოახდინოს განხორციელებული აქტივობის შემდეგ საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში რეფლექსია, გამოავლინოს საკუთარი დამოკიდებულება და არ მოექცეს სხვათა შეხედულებების ზეგავლენის ქვეშ. ამისათვის, აპლიკანტთან უნდა მოხდეს აქტივობის შესრულებამდე დაზუსტება სურს თუ არა, რომ კანონიერი წარმომადგენელი ესწრებოდეს აღნიშნულ პროცესს. რიგ შემთხვევებში, კანონიერი წარმომადგენლის დასწრებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რომ შემცირდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის შფოთვის დონე; ხოლო ზოგჯერ პირიქით, შესაძლოა ოჯახის წევრის პროცესზე დასწრებამ, ნეგატიური გავლენა იქონიოს აპლიკანტის მიერ პრაქტიკული მოსინჯვისა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოვლენის, რეფლექსიის პროცესზე. ასევე ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რამდენად სწორად მოხდება რეფლექსიის პროცესის წარმართვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლების მიერ.

შესაძლოა აპლიკანტს არ ჰქონდეს ზუსტი პასუხი პროფესიასთან მიმართებით საკუთარ დამოკიდებულებასთან დაკავშირებით. ამ დროს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გამოყენებულ იქნას ვიდეო ჩანაწერი, რომელიც განხორციელდება პროფესიული მოსინჯვის

პროცესში. ვიდეო ჩაწერი, ერთის მხრივ, დაეხმარება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირს თითოეული განხორციელებული აქტივობის გახსენებაში, ხოლო მეორე მხრივ, თუ აპლიკანტის კანონიერი წარმომადგენელი არ ესწრება პროცესს, სურვილის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მისთვის ჩანაწერის ჩვენება. ვიდეო ჩანაწერის გამოყენება რეფლექსიის კითხვართან ერთად მნიშვნელოვნად დაეხმარება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტს პროფესიის შესახებ საკუთარი დამოკიდებულების გამოვლენაში.

რეფლექსიის კითხვარის (იხ. დანართი №3) გამოყენებისას, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს თითოეული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის ინდივიდუალური თავისებურებები, მაგ.: საუბრის ტემპი, ენობრივი უნარები და ა.შ. გარდა ამისა, კითხვარის ფარგლებში გამოყენებულ ვიზუალურ ნიშნებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება როდესაც აპლიკანტმა უნდა შეადაროს მოსინჯული პროფესიული აქტივობები (მაგალითად, მოეწონა თუ ძალიან მოეწონა). ასევე მნიშვნელოვანია, ერთმანეთისაგან კარგად მოხდეს დიფერენცირება თუ რას ნიშნავს, როდესაც აპლიკანტი ირჩევს პასუხად: „ნეიტრალური დამოკიდებულება“ და „არ ვიცი“. როდესაც აპლიკანტს შესრულებული აქტივობის მიმართ აქვს ნეიტრალური დამოკიდებულება, იგულისხმება რომ მას არ აქვს პროფესიის დაუფლების მიმართ გამოხატული მოტივაცია, თუმცა, გაიზარა პროფესიის არსი და განსახორციელებელი აქტივობები. ხოლო როდესაც აპლიკანტი ირჩევს პასუხს „არ ვიცი“ ეს იმის მიმანიშნებელია, რომ მას სჭირდება დამატებით აქტივობების შესრულება რათა გარკვეული დამოკიდებულება შეექმნას პროფესიასთან მიმართებით ანუ აპლიკანტს ჯერ სრულყოფილი წარმოდგენა აქვს პროფესიის შესახებ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რიგ შემთხვევებში შესაძლოა აპლიკანტს გაუჭირდეს ამ ორი დამოკიდებულების დიფერენცირება, რაც ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს პირის არასაკმარის ინფორმირებულობაზე და დამატებითი აქტივობების შესრულების აუცილებლობაზე.

V ეტაპი: პროფესიული არჩევანის გაკეთება და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება

პრაქტიკული მოსინჯვის პროცესში დაკვირვების წარმოების შედეგად მიღებული ინფორმაცია, საშუალებას იძლევა ინკლუზიური განათლების სპეციალისტმა და პროფესიული განათლების მასწავლებელმა არგუმენტირებული შეჯამება მოახდინონ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის მიერ გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ. აუცილებელია, რომ თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი ესწრება შედეგების შეჯამების პროცესს, მაქსიმალურად იქნეს დაცული პროფესიული ეთიკა და არ მოხდეს აპლიკანტის პიროვნების შეფასება ან განსჯა; არამედ, ობიექტურად, კომპეტენციის ფარგლებში მოხდეს ხაზგასმა იმ მნიშვნელოვანი

ინფორმაციის, რომელიც აპლიკანტს დაეხმარება მიიღოს მისთვის საუკეთესო გადაწყვეტილება.


დაკვირვების მონაცემების და აპლიკანტის მიერ მოხდენილი რეფლექსიის საფუძველად შეიძლება გამოვლენილი უნარებისა და დამოკიდებულებების შეჯამება, კერძოდ:

- როგორია აპლიკანტის სასწავლო მოტივაცია?
- რომელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აქტივობას გაუმკლავდა აპლიკანტი უფრო ეფექტიანად და წარმატებით?
- რომელ პროფესიულ პროგრამასთან მიმართებით აღმოჩნდა მეტი თანხვედრა პროფესიით განსაზღვრულ საკვანძო უნარებსა და აპლიკანტის შესაძლებლობებს შორის?
- როგორია აპლიკანტის დამოკიდებულება განხორციელებული საქმიანობების მიმართ? რის მიმართ ამჟღავნებს მეტ ინტერესს?
- რა რისკებს შეიძლება შეიცავდეს კონკრეტული პროფესიის დაუფლება აპლიკანტისთვის?

აპლიკანტისთვის მიერ საუკეთესო გადაწყვეტილების მისაღებად, მნიშვნელოვან ინფორმაციას შესაძლოა წარმოადგენდეს აპლიკანტისა და მისი კანონიერი წარმომადგენლისათვის იმ საფრთხეების ჩვენება/გაცნობა რომელსაც პროფესია მოიცავს და უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე, ვერ მოხდა აღნიშნული აქტივობის განხორციელება პროფესიული მოსინჯვის ფარგლებში.

რიგ შემთხვევებში, აპლიკანტს პრაქტიკული მოსინჯვის და შემდგომი უკუკავშირის პროცესის დროს მიღებული ინფორმაციის დასამუშავებლად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, შესაძლოა ოჯახის წევრებთან კონსულტაციის გავლა და გარკვეული დროს დასჭირდეს. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია მოქნილობის გამოვლენა და აპლიკანტისთვის სასურველი დროის მიცემა.

სქემა №1. პრაქტიკული მოსინჯვის პროცესის ეტაპები



პრაქტიკული მოსინჯვის დაგეგმვის ფორმა (მოცემული ფორმა გამოყენებულია ალტერნატიული ტესტირების შეფასების დოკუმენტაციიდან).

ფაქტორი	განმარტება	ინფორმაცია
პროფესიული პროგრამის მოსინჯვისთვის არჩეული საქმიანობა	<ul style="list-style-type: none"> ✓ საქმიანობა, რომელიც პრაქტიკული მოსინჯვისთვის შეირჩა ✓ მოკლედ აღწერეთ საქმიანობა და პროფესიისთვის ამ საქმიანობის მნიშვნელობა, რატომ შეირჩა ეს კონკრეტული საქმიანობა/აქტივობა 	
პიროვნებასთან დაკავშირებული ინფორმაცია	<ul style="list-style-type: none"> □ აპლიკანტის შესახებ გასათვალისწინებელი ინფორმაცია (მაგ.: ექსპერტთა გუნდის დასკვნის ან /და სხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით) 	
გამოყენებული საგნები და მათი თვისებები	<ul style="list-style-type: none"> □ აღწერეთ იარაღები/მასალა და აღჭურვილობა, რაც ამ საქმიანობის განსახორციელებლად გამოიყენება/არის საჭირო □ დამატებითი ან/და ადაპტური აღჭურვილობა, რომელიც აპლიკანტის საჭიროებით არის განპირობებული (ასეთის არსებობის შემთხვევაში) 	
სივრცის მოთხოვნები	<ul style="list-style-type: none"> □ აღწერეთ გარემო, რომელიც საჭიროა/დამახასიათებელია საქმიანობის განხორციელებისთვის (მაგ.: საჭირო სივრცე; ავეჯის/აღჭურვილობის განლაგება; განათება/ვიზუალური მახასიათებლები; აუდიო მახასიათებლები; შესაძლო ხელის შემშლელი ფაქტორები და მათი თავიდან არიდების აუცილებლობა და სხვა) 	
ადამიანური რესურსი	<ul style="list-style-type: none"> □ განსაზღვრეთ ადამიანური/პროფესიული რესურსი (მაგ.: ქესტური ენის თარჯიმანი, ასისტენტი) რომელიც პრაქტიკული მოსინჯვისას აპლიკანტისთვის არის საჭირო (ასეთის არსებობის შემთხვევაში); 	
უსაფრთხოება	<ul style="list-style-type: none"> □ აღწერეთ საქმიანობასთან დაკავშირებული პოტენციური რისკი/ები და მათი თავიდან აცილების გზები 	
თანმიმდევრობა და დრო (მაქსიმუმ 45 წთ.)	<ul style="list-style-type: none"> □ დაყავით საქმიანობა არაუმეტეს 10 ამოცანად/ნაბიჯად/მოქმედებად (გამოიყენეთ ზმნები). □ აღნიშნეთ ნაბიჯების თანმიმდევრობა და თითოეული ნაბიჯის განხორციელებისთვის საჭირო დრო; 	

დანართი № 2

პრაქტიკული მოსინჯვის პროცესზე დაკვირვების ფორმა (მოცემული ფორმა გამოყენებულია ალტერნატიული ტესტირების შეფასების დოკუმენტაციიდან).

შეაფასეთ უნარის გამოვლენის ხარისხი 1 დან - 5 მდე სკალაზე სადაც 1 აღნიშნავს მინიმალურს, 5 - მაქსიმალურს.

ასპექტი	1	2	3	4	5	კომენტარი (გთხოვთ, ყველა ასპექტთან მიმართებაში გააკეთოთ აღწერილი ჩანაწერიც)
1. ინსტრუქციების/მითითებების გაგება/შესრულება						
2. დახმარების გამოყენება (კომენტარში დააზუსტეთ თუ რომელი ტიპის დახმარებას იყენებს)						
3. უკუკავშირის გათვალისწინება						
4. ხელსაწყოების/მოწყობილობის დანიშნულებისამებრ გამოყენება						
5. უსაფრთხოების დაცვა						
6. მოქმედებების თანმიმდევრობის დაცვა						
7. ამოცანის/დავალების ბოლომდე მიყვანა						
8. აკურატულობა						
9. შესრულების ტემპის რეგულაცია						
10. ფსიქიკური ან/და ფიზიკური გამძლეობა						

11. კითხვების დასმა/ დახმარების/უკუკავშირის მოთხოვნა						
12. შესრულების მოტივაცია/ინტერესი						
13. ინიციატივის გამოვლენა						
14. ემოციების მართვა						
15. ყურადღების მართვა						
დამატებითი კომენტარები: <i>(პრაქტიკული მოსინჯვისას გამოვლენილი სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია)</i>						

აპლიკანტის რეფლექსიის ფორმა

(აპლიკანტის მიერ პრაქტიკული მოსინჯვის შედეგის გააზრება/გაცნობიერება და პროფესიის მიმართ დამოკიდებულება)

<p>საორიენტაციო შეკითხვები (მოცემული კითხვები საორიენტაციოა და შესაძლებელია დამატებით სხვა კითხვების გამოყენებაც ან არსებულის საჭიროებისამებრ მორგება)</p>	<p>აპლიკანტის კომენტარი</p>	<p>ინკლუზიური განათლების სპეციალისტის/ პროფესიული განათლების მასწავლებლის კომენტარი (ივსება საჭიროების მიხედვით)</p>
<p>რას ფიქრობ ამ საქმიანობაზე?</p>		
<p>რის კეთება მოგეწონა ყველაზე მეტად?</p>		
<p>არის ისეთი რამე, რაც არ მოგეწონა ან რის კეთებაც გაგიჭირდა?</p>		
<p>გინდა ამ საქმიანობის კიდევ კეთება/მოსინჯვა?</p>		
<p>რა დაგეხმარებოდა ამ საქმიანობის უკეთესად/უფრო მარტივად შესრულებაში?</p>		
<p>რამ შეიძლება შეგიშალოს ხელი ამ საქმიანობის შესრულებაში?</p>		
<p>დამატებით რა ინფორმაციის მიღება დაგეხმარებოდა ამ საქმიანობის/პროფესიის უკეთეს გაცნობაში?</p>		

თითოეული პროფესიული მოსინჯვის შემდეგ აპლიკანტმა უნდა მოახდინოს საკუთარი ემოციის/დამოკიდებულების რეფლექსია, სადაც :

(წარმოდგენილი ვიზუალური ნიშნების გამოყენება დამოკიდებულია ცალკეული აპლიკანტის ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე).



„საერთოდ არ მომეწონა“- მანიშნებელია, იმისა, რომ აპლიკანტმა ზუსტად იცის, რომ არ სურს კონკრეტული პროფესიის დაუფლება



“არ მომეწონა“- აპლიკანტს არ სურს კონკრეტული პროფესიის დაუფლება



“ ნეიტრალური დამოკიდებულება მაქვს“-აპლიკანტს არ აქვს კონკრეტული პროფესიის დაუფლების გამოკვეთილი მოტივაცია



„მომეწონა“- აპლიკანტს დადებით დამოკიდებულება აქვს კონკრეტული პროფესიის მიმართ



„ძალიან მომეწონა“-აპლიკანტმა გამოავლინა მაღალი მოტივაცია კონკრეტული პროფესიის დაუფლების მიმართ



„არ ვიცი“- დამოკიდებულების ჩამოყალიბებისათვის, აპლიკანტს ესაჭიროება დამატებითი აქტივობების განხორციელება კონკრეტულ პროფესიასთან მიმართებით.

საერთოდ მომეწონა	არ არ მომეწონა	ნეიტრალური დამოკიდებულება მაქვს	მომეწონა	ძალიან მომეწონა	არ ვიცი

შენიშვნა: ცალკეული აპლიკანტის შესაძლებლობების გათვალისწინებით, დასაშვებია შემცირდეს შეფასების სკალის პუნქტები და გაერთიანდეს შემდეგი შეფასებები: „საერთოდ არ მომეწონა“/“არ მომეწონა“ და „ძალიან მომეწონა“/“მომეწონა“

***შენიშვნა:** საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული რეფლექსიის განხორციელება შესაძლებელია როგორც თითოეული პროფესიის მოსინჯვის, ასევე პროფესიასთან დაკავშირებული ცალკეული აქტივობების განხორციელების შემდეგ.

**** რეფლექსიის პროცესში აუცილებელია აპლიკანტისთვის ცალკეულ პროფესიასთან დაკავშირებული აქტივობების ამსახველი მასალების (ფოტო-ვიდეო მასალა /პროცესში შექმნილი ნამუშევარი და სხვა) ჩვენება, რათა უკეთესად შეძლოს ინფორმაციის აღდგენა/გახსენება.**